№ 16
შაბათი, 22 იანვარი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 16
შაბათი, 22 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21 ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227
ეროვნული ბიბლიოთეკა

აზნაური დიმიტრი შამას ძე ნაფეტვარიძე აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 იანვარს, გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის მეუღლის

## ანნა ტარიელის ასულის ნაფეტვარიძის

სულის მოსახსენებლად კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზედ. (2—262—2)

კვირას, 23 იანვარს, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

## გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის

სულის მოსახსენებლად. მეუღლე გარდაცვალებულისა შვილებითურთ აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ და სთხოვენ მობრძანდნენ დიდუბის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე, პანაშვიდი 11½ საათზე. (2—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 23 იანვარს, 1900 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ბ-ნ ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

## ბედს ვერ წაუხვალ

დრამა 4 მოქ., თხზ. ლანგამერისა, თარგ. მ. ნასიძისა

II

## ცოლი ორის დღით

კომედია ერთ მოქმედებად. თარგმანი ნ. ყიფიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარეთლი, ნებიერიძისა, აბხაზიშვილი; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, ჭელიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი მ. აბაშიძე და ქ. მესხი.

## სტეფანე გულიევის

**მაუდის მაღაზია,** რომელიც ამ ჟამად დახურულ ბაზარშია, 1 თებერვლიდგან გადადის შადინოვის ქარვასლაში ძმ. მილოვების პირდაპირ. (5—252.—2)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—80)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სალოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის მეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ აზნაური სიმონ წერეთელი და მღვდლის შვილი აკაკი ტყეშელაშვილი — ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად, პირველი—ნატანების ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ხოლო მეორე—ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

გადაყვანილ იქმნა გუმრის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ალექსანდრე ქუთათელაძე—კიზილხახრახის საფოსტო განყოფილებაში.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან თავისისავე თხოვნით ფოსტალიონები ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა—ვალერიან რატიანი და ცხინვალის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა— ივანე იალღუზიძე.

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ წინ, 20 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე მიაბარეს მიწას გვამი ექიმის გ. ო. იოსელიანისა, რომელიც 14 იანვარს გეოგჩაიში მოჰკლა ფერშალმა ზავიალოვმა. დასაფლავებას მრავალი ხალხი დაესწრო.

⁂ დღეს, 22 იანვარს, ტფილისის „საარტისტო საზოგადოების სადგომში", ტფილისის საბალოსნო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ რუსული წარმოდგენა იქმნება გამართული.

## ფელეტონი

### უცხოეთა შორის

დადგა თუ არა ახალი საუკუნე.—ასის წლის მოხუცნი.—ასის წლის წინად და ეხლა.—ბულღერი და ინგლის-ტრანსვაალის ჯარი.—ბურების დამარცხება და ინგლისელების გამარჯვება ლონდონის თეატრებში.

პირველი თვე 1900 წლისა მიიწურა კიდეც და ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ, გადავედქით თუ არა მე-XX საუკუნეში. ევროპაში დღესაც ცხარე კამათია ამ საგნის შესახებ. ზოგი ამტკიცებს, რომ მეცხრამეტე საუკუნე ჯერ არ დასრულებულაო, ზოგი კიდევ—ამა წლის პირველ იანვრიდგან უკვე გადავედქით მეოცე საუკუნეშიო. საყურადღებო ის არის, რომ ასეთი კამათი და უთანხმოება ყოველ საუკუნის დაწყებისას ყოფილა. ჯერ ისევ პეტრარკა სწერდა, რომ 1400 წელს ვერავინ ვერ გამოარკვია, დაიწყო თუ არა ახალი საუკუნეო. 1600 წელს პარიჟში მედალი გამოკრეს, რომელზედაც ეწერა: „აი საკვირველება, არავინ იცის, 1600 წელი რომელ საუკუნეს ეკუთვნის". ცნობილი ვარსკვლავთ-მრიცხველი კამილ ფლამარიონი ამბობს, რომ 1699 წელს მრავალი წიგნაკი დაიბეჭდა იმის გამოსარკვევად, როდის იწყება მე-18 საუკუნეო. ასეთივე კამათი 1799 წელსაც გაიმართა, განსაკუთრებით გერმანიაში. აქ ორი დასიც-კი გაჩნდა: პირველი ამტკიცებდა, რომ ახალი საუკუნე 1800 წელს იწყობაო, მეორე კიდევ—1801 წელსაო. პირველ დასს ეკუთვნოდნენ, სხვათა შორის, შილლერი და გეტე. 1800 წელს პარიჟში აუარებელი ხალხი ესწრებოდა ერთის პიესის წარმოდგენას. ამ პიესას შემდეგი სახელი ერქვა: „თუ ღმერთი გწამთ, შეგვატყობინეთ, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ?"

საიდგან წარმოსდგა ასეთი გაუგებრობა და უთანხმოება? მათემატიკოსები და ვარსკვლავთ-მრიცხველნი ამბობენ, რომ იმისთვის, ვინც თვლა და ანგარიში იცის, გაუგებარი აქ არაფერიაო: საუკუნე ასს წელიწადს შეიცავს, მაშასადამე, როდესაც ასი წელიწადი გაივლის, საუკუნეც დამთავრდებაო. ჩვენი წელთა-მრიცხველების პირველი საუკუნე გათავდა მაშინ, როდესაც 100 წელიწადი შესრულდა, მეორე საუკუნე დაიწყო 101 წელს, გათავდა 200 წელს, მეცხრამეტე საუკუნე დაიწყო 1801 წლის პირველ იანვარს, უნდა გათავდეს 1900 წლის 31 დეკემბერს. ასე ამბობენ მათემატიკოსები, მაგრამ სულ სხვა ნაირად ჰფიქრობენ ზოგიერთი ისტორიკოსები და მემატიანენი.

ვისაც უნდა ჰკითხოთ, გეტყვით, რომ წელთა მრიცხველობა ქრისტეს დაბადების დღიდგან იწყობაო. ყველა ასე ამბობს: „ესა და ეს წელი ქრისტეს დაბადებიდგანაო". ნამდვილად კი საქმე ასე არ არის. წელთა მრიცხველობა ქრისტეს დაბადებიდგან კი არ იწყობა, არამედ იმ დღიდგან, რა დღესაც სახელი უწოდეს მაცხოვარს. ქრისტე დაიბადა 25 დეკემბერს, სახელი კი რვა დღის შემდეგ უწოდეს, ესე იგი 1 იანვარს. ამ რიგად რვა დღე უკანა რჩება და ანგარიშის არევდარევაც ამ რვა დღის გამო ხდება. თუ წელთა მრიცხველობას პირველ იანვრიდგან დავიწყობთ, მაშინ პირველი საუკუნე გათავებულად უნდა ჩაითვალოს 100 წლის 31 დეკემბერს, მეორე—200 წლის 31 დეკემბერს, მეათე—1000 წლის 31 დეკემბერს და მეცხრამეტეც, მაშასადამე, უნდა გათავდეს 1900 წლის 31 დეკემბერს. მაგრამ ასეთის ანგარიშის დროს რვა დღე იკარგება, ხოლო იმისთვის, რომ ეს დღეებიც არ დაიკარგოს, ბევრი ამ რვა დღეს ცალკე წელიწადად ანგარიშობს და იმის აღსანიშნავად 0-სა ჰხმარობს. ამ ანგარიშით 1 წლის პირველ იანვარს დაიწყო პირველი კი არა მეორე წელიწადი, მე-2 წლის პირველ იანვარს დაიწყო მესამე წელიწადი, მე-10 წლის პირველ იანვარს—მეთერთმეტე წელიწადი. პირველი საუკუნე ამ ანგარიშით გათავდა 99 წლის 31 დეკემბერს, მეცხრამეტე საუკუნეც, მაშასადამე, 1899 წლის 31 დეკემბერს გათავდა.

ამ რიგად, ორივე მხარე მართალი გამოდის. საკმაო საბუთები თავიანთ აზრის დასამტკიცებლად იმათაც მოეპოვებათ, რომელნიც ახალ საუკუნეს 1900 წლით იწყობენ და იმათაც, რომელნიც ამბობენ, რომ ერთი წელიწადი კიდევ გვიკლია ახალ საუკუნემდეო.

ასე თუ ისე თამამად შეგვიძლიან მეცხრამეტე საუკუნე განვლილად ჩავთვალოთ, რადგანაც ეს ერთი წელიწადი მაინცა და მაინც მაგდენს არაფერს შეჰმატებს არც წარსულ და არც მომავალ საუკუნეს.

⁂

მე-19 საუკუნის შესრულების გამო ამას წინად გაზეთმა „Neue Wiener Tageblatt"-მა (ეს გაზეთი ვე-

⁂ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას წარსულ გიორგობისთვის 30-ს გარდაუწყვეტია ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის რევიზიის მოხდენა. რევიზიის მოხდენა დაევალა: გამგეობის წევრს ივ. ზურაბიშვილს, გამგეობის მდივანს ალ. მიქაბერიძეს, ქუთაისის სამზრუნველო კომიტეტის წევრთ ი. ოცხელს და ალ. ნანეიშვილს.

⁂ გუშინ-წინ, 20 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო ნაწილის განყოფილებამ განიხილა პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა და თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის საქმე. როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, წარსულ კრებაზედ სასამართლომ 11 ექსპერტი დაიბარა იმ საბუთის ქაღალდის განსახილველად, რომლის ძალითაც პლიუშჩევსკი თავ. მუხრან-ბატონს ედავებოდა, და იმის გამოსარკვევად, ამ საბუთის ქაღალდზედ ნამდვილად თავად მუხრან-ბატონს უწერია ხელი თუ არა. 11 ექსპერტიდგან 10 განაცხადა, რომ ხელი თავ. მუხრან-ბატონს უწერია, მხოლოდ მეთერთმეტე ბ-ნი სალამბეგოვი არ დაეთანხმა იმათ. გუშინ ბ-ნმა სალამბეგოვმა თავის მოხსენება წარუდგინა სასამართლოს ამ საგნის შესახებ. ამასთან სალამბეგოვმა სასამართლოს წარუდგინა ფოტოგრაფიული სურათებიც, ხელ-ნაწერიდგან გადაღებული და გადიდებული. მოხსენების წაკითხვის შემდეგ თავ. მუხრან-ბატონის ვექილებმა მოითხოვეს ნება მიეცეთ იმისა, რომ თითოეულ ექსპერტს რამდენიმე კითხვა მისცენ. სასამართლომ მცირე მოლაპარაკების შემდეგ არ შეიწყნარა ეს თხოვნა. განაჩენის გამოცხადება 3 თებერვლისათვის გადასდო სასამართლომ.

⁂ რადგანაც ყარსის რკინის გზის გახსნის შემდეგ ქალაქი ნავთლუღისაკენ თან და თან ფართოვდება, ქალაქის თვით მმართველობა შეუდგა ნავთლუღში ქალაქის საკუთარის მიწების დაყოფას სამოსახლოებად. გამგეობას აზრადა აქვს ეს მიწები მსურველთ იჯარით მისცეს სახლების ასაშენებლად. თვის მოხსენებას ამ საქმის შესახებ ქალაქის გამგეობა განსახილველად საბჭოს ორშაბათს, 24 იანვარს, წარუდგენს.

⁂ წარსულ წლის 19 დეკემბრის მიწის-ძვრისაგან ის შენობაც დაზიანებულა, რომელშიაც მოთავსებულია საეკკლესიო მუზეუმი. ამის გამო საქართველოს ეგზარხოსს გუბერნატორისთვის მიუმართავს და უთხოვნია, რომ ტეხნიკოსები იქმნენ გაგზავნილი ამ შენობის გასასინჯავად.

⁂ გუშინ ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი ბ. ი. ვ. ვერეტენიკოვი სამსახურისა გამო პეტერბურგში გაემგზავრა.

⁂ 14 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება განიხილავს ქ. გორში სადგურ ხაშურის ტელეგრაფისტის აზნაურ ნიკოლოოზ კიკნაძის საქმეს. კიკნაძეს იმავე სადგურის ტელეგრაფისტის მიხეილ ჯაფარიძის მოკვლა ჰბრალდება.

⁂ წელს სრულდება ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც ქ. ბაქოში ქართული სალამოები იმართება. ბაქოს ქართველ საზოგადოებას ამიტომ განუზრახავს რაც შეიძლება კარგად მოაწყოს წრევანდელი სალამო რომელიც შაბათს, 29 იანვარს, გაიმართება. ტფილისიდგან დაუბარებიათ არტისტები: გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ვ. აბაშიძე და სხვანი. უნდა წარმოადგინონ „მე მინდა კნეინა გავხდე“. („ცნ. ფურ.“)

⁂ გორიდგან გვატყობინებენ, რომ აქ გავრცელებულია ქაღალდისა, ნარდისა და კოჭის თამაში და მოთამაშეთ ხშირად ჩხუბი მოსდით ერთმანეთთანო.

⁂ „Чер. Вѣст.“ სიტყვით, ბათუმის ქალაქის მოურავმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სატეხნიკო კომიტეტის თავმჯდომარისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც ატყობინებენ, რომ ქ. ბათუმის ელექტრონით განათების საქმე უკვე გარდასწყდაო.

⁂ ს. რუხი, (ქუთ. მაზ.). აქაურმა მცხოვრებმა—გლეხმა პორფირე ალმასხანის ძე ბოლდაძემ, როდესაც შეღვინიანდა სადილობის დროს, მოჰკლა თავისი 22 წლის უმცროსი ძმა ვლადიმერი. საქმე ასე ყოფილა: მკვლელს და მოკლულს ჰქონიათ ერთმანეთ შორის უკმაყოფილება, მკვლელს პორფირეს მეტის მეტი გაანჩხლება სცოდნია სიმთვრალის დროს. ამდგარან ძმები სუფრიდგან და მინდორში გასულან. ხმა მაღლა ლაპარაკის დროს პორფირეს დაუკრავს ხანჯალი ვლადიმერისათვის მკლავში და მერე კეტი დაუკრავს დაჭრილისათვის მხარში. დაჭრილი გაქცეულა თავისის ბიძის სახლისაკენ და დაუძახია: „ბიძია, მიშველე, მომკლაო“. ამ დროს მივარდნილა პორფირე და დაუშენია ხანჯალი თავში, „კარგი, შე ულმერთო გეყოფა, ხომ ჰხედავ, მომკალი“? შეუძახნია ძმას. ამ სიტყვების შემდეგ ვლადიმერი ცალის ხელით სვეტს შემოხვევია, მაგრამ მერე უცებ წაქცეულა სისხლისაგან დაცლილი და სული განუტევებია. საკვირველი ისაა, რომ მშობლებს და ძმებს ამ საქმის მიყუჩება მოუნდომებიათ და ხმაც არ ამოუღიათ. დაუწყიათ ჩვეულებრივად სამზადისი მიცვალებულის დასასაფლავებლად. ამ დროს, როგორც იყო, მოუკრავთ ყური ამ ამბისათვის გორის მამასახლისს სიმონ მაღლაკელიძეს და მის მწერალს ბენედიქტე ბაკურაძეს, მისულან ადგილობრივ და დაუწყიათ საქმის გამოკვლევა. ჯერ უარი უთქვამთ დამსწრეთ, მაგრამ მერე მართალი გაუმჟღავნებიათ. მეორე დღეს მამასახლისის მოხსენებით მოვიდნენ ადგილობრივი გამომძიებელი და პოლიციის ბოქაული გამოძიების დასასრულებლად.

⁂ სოფ. ნებათი-ქრისტიანი, (კავკავის მაზრა). 2 იანვარს გამართეს ამ სოფელში სცენის მოყვარეთ აქაურის სკოლის დარბაზში წარმოდგენა. წარმოადგინეს არდონის სამისიონერო სემინარიის მოსწავლის—გარდანოვისგან დიგორულს ენაზედ ახლად დაწერილი პიესა—„დიგორის ცხოვრებიდგან“. წარმოდგენის დროს შიგა და შიგ ლექსებს კითხულობდენ და ხან საერო სიმღერებს ჰმღეროდენ დიგორულს ენაზედ. ხალხი ბლომად დაესწრო და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ოსებში სწავლა განათლება ძალიან წინ მიდის. ერთს უკანასკნელს პატარა სოფელსაც ვერა ჰნახავთ, რომ სკოლა არა ჰქონდეს.

⁂ კაგკავი. აქ ამ ჟამად გავრცელებულია წითელა და ყელჭირვება.

⁂ ბეითალმა ბ-ნ ა. გ. მელკუმოვმა, რომელიც განაგებს საკლავ პირუტყვთა ბაკს, ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ნავთლუღში თავის ბაზარი იქმნას გამართული.

⁂ ქ უ თ ა ი ს ი. 19 იანვარს, ღამით, ქურდებმა გასტეხეს ფეიქაროვის რკინეულობის მაღაზია, ვასილ ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზია, ქალაქის გამგეობის ნავთის საწყობი და ზინგერის მაღაზია. ფეიქაროვის მაღაზიიდგან ვერაფერი გაუტანიათ, რადგანაც გატეხის დროს შიგნით ზარს დაუწყია რეკვა, ბეჟანეიშვილის მაღაზიიდგან მარტო ოცი მანეთი წაუღიათ, ზინგერის მაღაზიიდგან გაუტანიათ ორი საკერავი მაშინა. პოლიცია შეუდგა ქურდების აღმოჩენას.

---

## თეატრის მატიანე

ა ღ ლ უ მ ი, კომედია 4 მოქმედ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

ეს პიესა განმეორებულ იქმნა ქ-ნ მ. მ. საფაროვის საბენეფისოდ ხუთშაბათს, 20 იანვარს. წარმოდგენას ხალხი მრავლად დაესწრო, მაგრამ წარმომადგენლები-კი ზოგიერთნი უგუნებოდ ასრულებდნენ თავიანთ როლებს. თვით პატივცემულს მობენეფისეს ქ-ნს მ. საფაროვისას კოპწია კნიაჟნა ნუცას როლი არ უხდებოდა, ილიუზია არ იყო, სინამდვილე და როლი ერთმანერთს ხელს არ უწყობდნენ, თუმცა თვით არტისტი-ქალი ჩვეულებრივ სცდილობდა ნორჩის ქალის სიცქვიტე და სიმალხაზე გამოეჩინა. თავ. ნესტორ მირვანდელის როლის აღმასრულებელი ბ-ნი იმერიძე სრულიად ამახინჯებდა თავისს საუცხოვო როლს, ისე საშინლად, რომ საკვირველიც იყო, რა მოსწონდა იმისი კნიაჟნა ნუცას. ამ არტისტმა სცენაზედ რიგიანად ჯდომაც-კი არ იცის, არამც თუ მაგისთანა როლები შეასრულოს. ბ-ნს აბაშიძეს, რომელმაც ჩვეულებრივ საუცხოოდ შეასრულა თავისი როლი, უნდა შევნიშნოთ, რომ იგი მეტად ბოროტად ჰხმარობდა „ვითარცა“-ს და ხშირად რაღაც, უაზრო, თვისს მიერ დამატებულს სიტყვებს ჰბუტბუტებდა.

დანარჩენნი სინიდისიერად მოჰკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ როლები რომ უფრო კარგად დაესწავლათ, უკეთესი იქნებოდა, რადგან ამ მხიარულს კომედიას წარმოდგენაში სიცოცხლე აკლდა. კარგნი იყვნენ ქ-ნნი გაბუნია, ჩერქეზიშვილი და ან. აბაშიძე, ბ-ნნი გედევანოვი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი და ადამიძე თედოს პაწია როლში.

მობენეფისეს საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვა.

ქ.

---

## წერილები ახალქალაქის მაზრიდგან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

V

კაცი გაჭირვებაში იცნეს რომ იტყვიან, სწორედ ეს ანდაზა ითქმის იმათ შესახებ, ვისაც პირველად არგუნა ბედმა შემწეობა და დახმარება აღმოეჩინა მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის. მშვენიერი და სასიქადულო სულის თვისება ადამიანისა სწორედ გაჭირვებაში გამოჩნდება, გაიშლება და თვალსაჩინო ხდება ხოლმე. ბევრია ასეთი ღირსების კაცი, მაგრამ ვერავინ ამჩნევს მათს ღირსებას, ხოლო როცა გაჭირვება და უბედურება მიადგება კარს ერსა, მაშინ იჩენს ასეთი მადლიანი ადამიანი თავის ძალ-ღონესა.

ბარალეთის სამამასახლისოში მომხდარი უბედურება პირველად სკოლის მასწავლებლებმა შეიტყეს და მაშინვე აცნობეს მაზრის უფროსსა. პირველად ამათვე დაინახეს, რა საშინელი მტვრის ბუქი ავარდა სოფელ იხთილას და მერენიას. შიშისაგან გონება დაბნეული და ელდანაცემი ხალხი სკოლას მოაწყდა ბინისა და შემწეობის საშოვნელად. სკოლის მასწავლებელთ: ა. მიქელაძემ, ს. გურგენოვმა და მისმა დამ ან. გურგენოვმა ყოველ ნაირი დახმარება, რაც-კი შეეძლოთ, აღმოუჩინეს ხალხსა. სკოლის ოთახებში

---

ნაში იბეჭდება) თავისს ხელის მომწერთ მიჰმართა და სთხოვა, შეატყობინეთ იმ მოხუცთა გვარები, რომელნიც ასის და მეტის ხნისანი არიანო.

როგორც მიღებულ ცნობიდგანა სჩანს, თვით ვენასა და სხვა დიდ ქალაქებში ასის წლის მოხუცნი ცოტანი ყოფილან; ეტყობა ქალაქის შეხუთული და მოშხამული ჰაერი ხელს არ უწყობს ხანგრძლივ სიცოცხლეს. სამაგიეროდ პროვინციაში მრავალი 100 წლის მოხუცი აღმოჩნდა თურმე. პირველი ადგილი ამათ შორის ვინმე ამალია რინგერს უჭირავს, რომელიც ამ ჟამად 114 წლის დედაკაცია. ეს დედაკაცი ჯერ კიდევ მხნედ არის, სათვალეებს არა ხმარობს და ყველა საქმეს დაუზარებლად აკეთებს. მეორე დედაკაცი ანნა ველცი 103 წლის მოხუცი აღმოჩნდა. მამაკაცთა შორის შესანიშნავი ყოფილა მიხეილ პისკი, რომელიც თუმცა 1797 წელს დაბადებულა, მაგრამ ჯანითა და ღონით ახალგაზდასაც არ ჩამოუვარდება თურმე. პისკს ამ ჟამად 22 შვილის შვილი და 34 შვილის-შვილის-შვილი ჰყავს. მეორე მოხუცი იოსებ ბეზენდორფი დაიბადა 1798 წელს; 1864 წლამდე ხე ტყის ქარხანაში მხერხავად იყო. ბეზენდორფი ეხლაც ახალგაზდებთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებს თურმე ცეკვა-თამაშში. გერმან შილლერი დაიბადა 1799 წელს. შვილები და შვილის-შვილები შილლერს გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში ჰყავს. მოსე შტეინერი დაიბადა 1797 წელს, იგი უბრალო მუშად იყო ერთ ქარხანაში. ამ ჟამად შტეინერი 63 წლის შვილთანა სცხოვრობს. ელისაბედ მაულბეკი დაიბადა 1799 წელს; ეხლა ამ მოხუცს მანდილოსანს 10—15 წლის შვილის შვილის-შვილის-შვილები ჰყავს.

ამ მოხუცთა თავ გადასავალი მთელს ისტორიას შეადგენს თურმე. საკვირველიც არ არის: ასი წელიწადი იმდენად დიდი მანძილია, რომ ამ ხნის განმავლობაში კაცი ათას რასმეს განიცდის, ჰნახავს და გაიგებს, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ტეხნიკა დაუჯერებელს საწაულებს სჩადის. ამ მოხუცთ კარგად ახსოვთ ის დრო, როდესაც ხსენებაშიც-კი არ იყო ყველა ის, რითაც მეცხრამეტე საუკუნე ამაყობს, როგორც მაგალითად, რკინის გზები, ტელეგრაფები, და სხ.

⁂

მეცხრამეტე საუკუნეში სხვაფრივაც დიდი ცვლილებები მოხდა. მაგალითად საკმაო შემდეგიც. 1800 წელს რუსეთის მცხოვრებთა რიცხვი 37 მილიონს არ აღემატებოდა, ეხლა-კი მთელს რუსეთში 135 მილიონია; ერთის საუკუნის განმავლობაში რუსეთს 100 მილიონი მიემატა. ევროპაში 1800 წელს 140 მილიონი მცხოვრები იყო (რუსეთი არ არის ჩათვლილი), ეხლა კი იმავე ევროპაში 280 მილიონია, ე. ი. ორჯელ მეტი. ამერიკასაც ერთის საუკუნის განმავლობაში 100 მილიონი მცხოვრები მიემატა. ასეთი გამრავლება ხალხისა ისტორიას არ ახსოვს.

ისტორიას არც ისეთი უზარმაზარი და ძლიერი სახელმწიფონი ახსოვს, როგორიც ამ მეცხრამეტე საუკუნემ შეჰქმნა. მცხოვრებთა სიმრავლით პირველი ადგილი თუმცა ჯერ ისევ ჩინეთს უჭირავს, მაგრამ ბევრით მას აღარც ინგლისი და რუსეთი ჩამოუვარდებიან, ხოლო ადგილ-მდებარეობის სივრცით ეს სახელმწიფონი სჭარბობენ კიდეც ჩინეთს. ჩინეთში ამ ჟამად 402,000,000 მცხოვრებია, ინგლისში—350,220,000, რუსეთში—135,000,000, შეერთებულ შტატებში—80 მილიონამდე, გერმანიაში—70 მილიონამდე. მიწა-ადგილის სივრცით ყველას ინგლისი სჭარბობს—25,052,900 ოთხ-კუთხი კილომეტრი, რუსეთს უჭირავს 22,430,000 ოთხ-კუთხი კილომეტრი ხოლო ჩინეთს—4,024,970 კილომეტრი.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სახელმწიფოების ზრდასთან ერთად შემოსავალ-გასავალიც გაიზრდებოდა. 1800 წელს არც ერთის სახელმწიფოს ხარჯი არ აღემატებოდა 100 მილიონ მანეთს. ეხლა-კი საფრანგეთს ყოველ წელიწადს $3^1/_2$ მილიარდი ფრანკი ხარჯი აქვს, გერმანიას—$1^1/_2$ მილიარდი მარკა, ინგლისს და რუსეთს თვითეულს—$1^1/_2$ მილიარდი მანეთი. სამხედრო საქმეს (ჯარსა და ფლოტს) საფრანგეთი წელიწადში $953^1/_2$ მილიონ ფრანკს ანდომებს, გერმანია—$711^1/_2$ მილიონ მარკას, ინგლისი და რუსეთი თვითეული—400 მილიონ მანეთამდე.

ეს მშვიდობიანობას, ომის დროს-კი ხარჯი ერთი ათად და თხუთმეტად მატულობს. თვით ეხლანდელი ომი აღარაფრით აღარა ჰგავს წარსულ საუკუნის ომს. ის ფული, რაც წარსულ საუკუნეში სამ თვეს უნდებოდა სახელმწიფოს (ომის დროს), ეხლა ერთ დღესაც აღარა ჰყოფნის, ისე გართულდა ეხლანდელ დროში ომის საქმე. ყველამ კარგად უწყის, რა მდიდარი სახელმწიფოა ინგლისი, მაგრამ აგერ, ლამის არის, პატარა ტრანსვაალთან ბრძოლამ ამ მდიდარის სახელმწიფოს ხაზინაც შესამჩნევად შეასუსტოს.

⁂

კიდევ კარგი თუ ასეთის დიდის ხარჯის შემდეგ ომის წყალობით რამე შეიძინა სახელმწიფომ. მაგრამ რა უნდა ჰქნას მაშინ, როდესაც ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღეს და ამ სახით ბინა გაუჩინეს. უამისოდ ხალხი სიცივისაგან გაიფიჩხებოდა. იზრუნეს აგრეთვე სასმელ-საჭმლისათვის. ერთის სიტყვით, ვიდრე სამაზრო ქალაქიდგან, ან ტფილისიდგან შველა და შემწეობა მოვიდოდა, ეს სამი ადამიანი იყო გაუბედურებული ხალხის მფარველ ანგელოზებად.

მასწავლებლებს დახმარება და შემწეობა შემდეგშიაც არ დაუკლიათ დაზარალებულთათვის.

მარტო საკუთარის შრომით არ დაკმაყოფილდნენ ეს პატივცემულნი ადამიანნი და ფულადაც შეაგროვა ნინო გურგენოვმა 82 მანეთი, რომლითაც სასმელ-საჭმელი უყიდეს ამ ფულით. ასეთი შეწირულება მცირედად ნუ გეჩვენებათ. ბარალეთი ტფილისი არ არის, იქ მასწავლებელთა გარდა სულ სამოთხი განათლებული ადამიანი მოიპოვება, დანარჩენი გლეხობაა და ამ გლეხობაში რა ფული უნდა მოაგროვო. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ბარალეთლები ჩამორჩნენ უკან თავიანთ კარგ მასწავლებლებს. ორი თუმანი მოაგროვეს ფულად და მიართვეს მასწავლებელთ ამ საქმისათვის. საყურადღებო ამ შეწირულობაში ისაა, რომ ბარალეთლებს ძველი ოსმალური ოქროს ფული სადღაც გამოეძებნათ და ის შესწირეს. ვინ იცის, ეს მამა-პაპეული განძი სადა ჰქონდათ შენახული და მხოლოდ ამ გაჭირვების დროს გამოაჩინეს.

მასწავლებლებზე ნაკლებ არ იმუშავეს ნავაგინის პოლკის ჯარის-კაცთა და აფიცრებმა. ისე უცბად წამოვიდა ახალქალაქიდან მესამე ბატალიონი პოლკისა დახოცილთა გვამების ამოსათხრელად, და სიკვდილს გადარჩენილთა საშველად, რომ ზოგმა აფიცრებმა ვერც-კი მოასწრო თბილი ტანისამოსის წამოღება. ამის გამო ოთხ აფიცერს სიცივემ ფეხები დააძრა. გვამების ამოთხრა ნანგრევებიდგან დიდს სიფრთხილესა თხოულობდა, რადგან ადვილად შეიძლებოდა, რომ ნანგრევებში თვით ჯარის-კაცნი და აფიცრები მოჰყოლოდნენ.

ჯარის-კაცთა და აფიცრებს ბინა ჰქონდათ ს. ბარალეთს, დილით ადრე მიდიოდნენ სამუშაოდ და საღამოს ისევ ბარალეთს ბრუნდებოდნენ. მთელი ოთხი დღე იმუშავა მესამე ბატალიონმა და მეოთხე დღეს შესცვალა პირველმა ბატალიონმა, რომელსაც ისეთივე ღვაწლი მიუძღვის როგორც მესამესა. სამას გვამზე მეტი ამოსთხარეს მიწიდან ჯარის კაცებმა და ამოთხრილებს საერთო ძმურს საფლავში ასაფლავებდნენ. მუშაობა ნანგრევებში იმითი იყო კიდევ საძნელო, რომ მკვიდრნი ვინც კი გადარჩა ცოცხალი, გაიქცნენ და კარის მაჩვენებელი არავინ იყო, რომ ეთქვა—აი აქაა დაღუპული ხალხი და ესა და ეს სახლები გათხარეთო. რადგან მუშაობის მაჩვენებელი არავინ იყო, ისე, ღვთის ანაბარადა სთხრიდნენ რომელი სახლიც მოხვდებოდათ, რის გამო დრო ბევრი იკარგებოდა, მუშაობა ტყუილი იყო და მიცვალებულთ ვერა ჰპოულობდნენ.

დიდად ისახელა თავი პოლკის ექიმმა ი. ბრონიკოვსკიმ დაუღალავის შრომით და მოყვასთა სიყვარულით ბრონიკოვსკიმ. ყველას თანაგრძნობა დაიმსახურა.

არც ჯარის კაცნი ჩამორჩნენ უკან თავიანთ აფიცრებს. იმათთვის გადადებული 360 მ. შობის ხის გასამართავად აიღეს და გაუბედურებულს ხალხს შესწირეს. მოძმე შიმშილითა კვდებოდეს და ჩვენკი ვმხიარულებდეთო, აბა ეს რას ეგვანებაო და უარი სთქვეს სიამოვნებაზე.

სამაგალითო მხნეობა გამოიჩინა აგრეთვე ს. ბალანთას ნაცვალმა არჩილ ზედგინიძემ. როგორც კი შეიტყო, რომ მეზობელი სომხის სოფელი ბეჟანო დაინგრაო, მაშინვე შეჰკრიფა ბალანთელები და საშველად წავიდა. იმავე საღამოს ბეჟანოელები საქონლით ჩამოიყვანა ბალანთაში დ ყველას ბინა გაუჩინა ბალანთა მცირე სოფელია, სულ 20 კომლი კაცია, ბეჟანოში-კი ას კომლზე მეტია ხალხი. ბეჟანო მთლად დაინგრა, საქონელი და ხალხი მაინც საკმარისად გადარჩა დაღუპვასა და ეს ამოდენა ხალხი და საქონელი თითქმის მთელი კვირა ასაზრდოვეს ბალანთელებმა. ასეთი ყოფილა სიძლიერე მოყვასისადმი სიყვარულისა! ადამიანი ამ გრძნობით გამსჭვალული გამოძიებაში არ შედის, შევძლებ სხვის რჩენა-პატრონობას, როცა მეც არა მაქვს რაო, ოღონდ კი სიკეთე მოიქმედოს და სხვას ტვირთი შეუმსუბუქოს.

თანაგრძნობა და სიყვარული აღმოუჩინეს გაუბედურებულთ კიდევ ორმა სოფელმა: ლილისკამ და ხოსპიომ. პირველი სოფელი მუსხელიანთია და მეორე ბეგი ფალავანდიშვილისა. ორთავ სოფლები შორს არიან ბარალეთზე, მაგრამ მაინც გულმტკივნეულობა არ დააკლეს დაზარალებულთ. ხოსპელებმა შეჰკრიბეს თავიანთ შორის ხუთი თუმანი და გაუგზავნეს დაზარალებულთ; ლილისკელებმა შესწირეს: 19 ცხვარი, 9 ქათამი, ათი ქალის გულს-ასაფარებელი, 9 ქალის სარტყელი და ერთიც ქალის ზედატანი.

თავი ისახელა აგრეთვე თვისი მამაცურის მოქმედებით, მხნეობით და ხასიათის სიმტკიცით დარაჯმა აკოფა ყარაკაურიანმა. აკოფას მიწის ძვრამ მოუკლა ცოლი, შვილები (ერთი გაიყინა), დედ-მამა დაუსახიჩრა და მაინც სამსახური არ შეუწყვეტია. ტირილისა და თავში ცემის მაგიერ, აკოფა ყარაკაურიანი ერთგულად ასრულებდა უფროსების ბრძანებას, უკან მისდევდა მარხილებს, ეზიდებოდა სასმელ-საჭმელს დამშეულთათვის, ავადმყოფებს აბინავებდა საავადმყოფოში და თითქმის უძილოდ დღე და ღამეს ასწორებდა. ასეთის მხნეობისათვის და სვინდისიერად ასრულებისათვის თავისის მოვალეობისა გუბერნატორმა უბოძა აკოფა ყარაკაურიანს ურიადნიკობა და აჩუქა 30 მ. ფულად.

სხვებზე ნაკლებ არ ისახელეს თავი დუხაბორებმა. ბოქაულ ფალავას სიტყვით, დუხაბორებმა 90 მარხილი მიაშველეს დაზარალებულთ. მთელი ერთი კვირის განმავლობაში ეზიდებოდნენ დანგრეული სოფლებიდგან ავადმყოფსა და კარგა მყოფსა ახალქალაქამდინ, მიჰქონდათ აგრეთვე ტანთსაცმელი და სანოვაგე. იმ უბედურ გზებზე საშინელ ყინვებში სიარული ზოგჯერ დღეში ორჯელ-სამჯერ სწორედ გმირობაა და ეს მხოლოდ იმისთანა ხალხს შეუძლიან, როგორც დუხაბორები არიან. ამ ძნელი შრომისათვის დუხაბორებმა სასყიდელი არ მოითხოვეს. როცა გუბერნატორმა შეაძლია სასყიდელი, დიდად იუცხოვეს, მადლობას მოგახსენებთ, ფულს არ ავიღებთ და ისევე დავეხმარებით, როგორც აქამდისინ ვეხმარებოდითო.

ადგილობრივ მკვიდრთ მარხილები არა აქვთ. ან ფეხით დადიან, ან ცხენით. რა ეშველებოდათ უბედურთ, დუხაბორების მარხილები რომ არ შეხვედროდათ. დარწმუნებული ვარ, რომ ვინც სიკვდილს გადარჩა, სიცივით გაიფიჩხებოდა, ეს მადლიანი ხალხი რომ არ მიშველებოდა.

ა. ყ—ძე

## დაბა სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. სვირი**, (ქუთაისის მაზრა). ყველგან გაიძახოდნენ: „სვირული ღვინოვო, სვირული ღვინოვო!“ და მართლაც სათქმელი იყო, რადგანაც აქაური ღვინო განთქმული იყო მთელს დასავლეთ საქართველოში და ბლომადაც მოდიოდა, ამის წყალობით აქაური ხალხი სიღარიბეს ნაკლებად ჰგრძნობდა. აქ ირიცხება 1000 კომლამდე მცხოვრები, რომელთა შორის თავად-აზნაურნი იშვიათად მოიპოვება. ესენი ყველანი ისე გულ-მოდგინეთ ეტანებოდნენ ვენახის მუშაობას, რომ ვერ ნახავდით ისეთ უკანასკნელ გლეხს, სამი ქცევა მაინც არ ჰქონოდა გაშენებული. მაგრამ ამ წყეულმა სენმა—ფილოქსერამ სული ამოახდინა ვაზებს და დარჩა რამდენიმე გლეხი ხელ-ცარიელი. ალაგ-ალაგ კიდევ შეხვდებით ვენახებს, მაგრამ ხეირი აღარა აქვს და დღეს თუ არა, ხვალ მაინც სული ამოხდებათ. მაგრამ არც ამას შეუშინდნენ აქაური გლეხები; ყველან ჩინებულად შეისწავლეს ამერიკულის ვაზის დამყნა და მისი მოვლა. მეექვსე წელიწადია, რაც ამ გვარად დამყნილი ვაზები გააშენეს აქ. ამ ვაზებს სიკეთეც შეეტყო და სარგებლობაც მოგვცა. გლეხს ალექსი მიქელაძეს მე წაქამეს მოუვიდა 4 საპალნე კარგი ღვინო და რამდენსამე სხვა გლეხსაც—ზოგს ამაზედ მეტი და ზოგს ნაკლები. წრეულს იშვიათად [illegible] ნახავთ [illegible] გლეხს, რომ ამერიკულ ვაზზედ არ ამყნიდეს ადგილობრივი ჯიშის ვაზებს.

ნ. ორბელაძე

## წერილი სიმფეროპოლიდგან

მთავრობის ახალ გარდაწყვეტილებით, ჯარის-კაცად გაყვანილი ქართველები აქეთ-იქით იგზავნებიან რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეში. ერთი გროვა ახალ გამოწვეულ ჯარის-კაცებისა, სხვათა შორის, სიმფეროპოლშიაც გადმოამწყსეს. რადგანაც მათ შორის უმეტეს ნაწილად ისეთნი არიან, რომელთაც არამც თუ რუსულის ენისა არა გაეგებათ-რა, ქართული წერა-კითხვაც-კი არ იციან, ამისათვის ადგილობრივ მთავრობას ერთობ გასჭირვებოდა იმათი სწავლება. ეს გაჭირვება ორკეცდებოდა მაშინ, როდესაც ქართველი ჯარის-კაცები აღსარების სათქმელად მიდიოდნენ რაზმის მღვდელთან. აქ ხომ არ შეიძლებოდა იმათ შორის ვინმეს შუამდგომლობა გაეწია. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მღვდელმა მთხოვა მასთან ერთად მენახა ქართველები და რამდენიმე სიტყვა გარდამეცა იმათთვის სამხედრო მთავრობისაგან. მე სიამოვნებით აღვასრულე მღვდლის თხოვნა და 9 იანვარს ერთად წავედით ჯარის-კაცების სადგომში.

შესვლისთანავე ვიცანი ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც ერთად მიჯგუფებულიყვნენ და სიცივისაგან შეწუხებულთ პირი-სახე ნახევრამდის ჰქონდათ შებუდრული. იმათი უფროსი უნტერ-აფიცერი—ენის უცოდინარობის გამო მიმიკით ანიშნებდა ქართველებს სხვა-და-სხვა მოძრაობას. ჩვენს შესვლაზედ უნტერ აფიცერმა „ადექითო“ დაუძახა ქართველებს და ხელიც ასწია მაღლა წარმოთქმულის ბრძანების გასაგებად. რუსის ჯარის-კაცების დახმარებით მღვდელმა იგალობა „მეუფეო ზეცათაო“ და მთხოვა, ესევე ლოცვა ქართულს ენაზედ წამეკითხა. როცა ლოცვა დავათავე და ქართველებს გადავხედე, იმათ სახეზედ სიხარულის ნიშანი შევნიშნე. მღვდელმა მიულოცა ქართველებს დღესასწაული და სანუგეშო

---

თი დღე დაადგება, როგორიც ბურებმა ინგლისელებს დააყენეს. ესეც კია, ინგლისი ჯერ კიდევ არა ჰკარგავს იმედს და პროექტებს ადგენს იმისას, თუ როგორ უნდა მოაწყოს ახლად დაპყრობილი ტრანსვაალის და ორანჟეს რესპუბლიკები. ლონდონში გულ-მოდგინედ ადგენენ ასეთ პროექტებს, აფრიკაში კი ბურები ბედს აწყევლინებენ ინგლისელებს და არამც თუ წინ არ უშვებენ, იქაც აღარ აყენებენ, სადაც უშიშრად მიაჩნდათ თავი.

უკანასკნელი დამარცხება ინგლისელებისა მაინც რაღაც არა ჩვეულებრივი და დაუჯერებელია. ამ დამარცხებამდე ბულლერი დეპეშას დეპეშაზედ ჰგზავნიდა, ესა და ეს სიმაგრე ავიღეთ, აქედგან და აქედგან გავრეკეთ ბურები, აქა და აქ გავიმარჯვეთო; ერთის სიტყვით, ბულლერის დეპეშებიდგან ის აზრი გამოდიოდა, რომ ერთი ორი დღეც და ძლევამოსილნი ლედი-სმიტში შევალთო. მაგრამ მოულოდნელად სულ სხვა შინაარსის დეპეშა მოვიდა: „ბურებმა ინგლისელებს 1500 კაცი მოუკლესო“—იუწყებოდა ეს დეპეშა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სადაც მოკლული ამდენია, იქ დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი ერთი სამად უფრო მეტი იქნება.

საწყალ ბულლერს იმ თავითვე არა სწყალობს ბედი. ამბობენ, რომ როდესაც ინგლისიდგან აფრიკაში მიდიოდა, ამ გენერალმა შინაურებს დაუბარა, ჩემი ბარგი პირდაპირ პრეტორიაში გამიგზავნეთ, რადგანაც ჩასვლა და ამ ქალაქის დაპყრობა ერთი იქნებაო. მაგრამ ამ ორმა თვემ აშკარად დაგვანახვა, რა წინასწარმეტყველობის ნიჭით ყოფილა დაჯილდოვებული ბულლერი. არამც თუ პრეტორიის, ბურებმა ჯერ-ჯერობით ლედი-სმიტის დანახვაც არ აღირსეს გულადს გენერალს, იმ ლედი-სმიტისა, რომელიც თვით ინგლისის მიწა-წყალზეა, და რომლის კედლებს შუა ორი თვეა მომწყვდეული 12,000 ჯარის-კაცი ინგლისისა.

არ იფიქროთ, ინგლისელებს ცოტა ჯარი ჰყავთ და მათი გენერლების დამარცხება ამის ბრალიაო. აი ინგლისისა და ტრანსვაალის ჯარის რაოდენობის შესახებ რას იუწყებიან გაზეთები. 8 იანვრამდე სამხრეთ აფრიკაში ინგლისიდგან და ახალშენებიდგან სულ 77,956 ჯარის კაცი ჩავიდა. ამ რიცხვს იქ მყოფ ჯარსაც თუ მივუმატებთ, გამოვა რომ ინგლისს ამ ჟამად სამხრეთ აფრიკაში 102,950 ჯარის-კაცი ჰყოლია. სულ უკანასკნელ დროს გაგზავნილი ჯარი ჯერ არ ჩასულა. ეს ჯარი 23,903 კაცისაგან შესდგება.

ბურების ჯარის რაოდენობის შესახებ ნამდვილს ცნობებს არ იუწყებიან. გაზეთ „Outilook“-ის კორესპონდენტის მიერ შეკრებილ ცნობებით, ბურებს ბრძოლის ველზედ 80,000 კაცი უნდა ჰყავნდეთ, ხოლო გაზეთ „Mogning Post“-ის აზრით, მათი ჯარი 100,000 კაცს უნდა აღემატებოდეს. როგორც ჰხედავთ ინგლისს მეტი ჯარი ჰყავს სამხრეთ აფრიკაში, ვიდრე ორს მოკავშირე რესპუბლიკას.

***

აფრიკაში რომ ვერარაფერს აკლებენ ბურებს ინგლისელები ეხლა ლონდონის თეატრებში სცდილობენ იმათ ჯავრის ამოყრას. ისე დღე არ გაივლის თურმე, რომ ლონდონის რომელისამე თეატრში პატრიოტული პიესა არ წარმოადგინონ. შინაარსი ამ პიესებისა თუმცა აწინდელის ინგლის-ტრანსვაალის ომიდგან არის აღებული, მაგრამ სცენაზედ იმას ვერა ჰნახავთ, რაც ნამდვილად სამხრეთ-აფრიკაში ხდება.

ლონდონის თეატრებში ყოველთვის ინგლისელები იმარჯვებენ, ბურები-კი დამარცხებულნი და შერცხვენილნი გარბიან. ყოველი ბრძოლა სცენაზედ ინგლისელების ასეთის გამარჯვებით თავდება. საწყალ ბურებს უწყალოდ და შეუბრალებლად ჰხოცავენ. არ იბრალებენ მათ არც ის არტისტები, რომელნიც ინგლისის ჯარს წარმოადგენენ და არც პარტერსა და ლოჟებში ჩამწკრივებული საზოგადოება. ინგლისელების ჯარის გამარჯვებით გახარებული საზოგადოება პარტერიდგან და ლოჟებიდგან მოსვენებას არ აძლევს ვითომდა „ბურებს“: ზოგი პურის ნატეხს ესვრის, ზოგი კაკალს, ზოგი კიდევ რას. მაგრამ ყველაზედ მეტ ტანჯვასა და წვალებაში თვით „კრიუგერია“. სცენაზედ ხომ არ აძლევენ და არა მოსვენებას „კრიუგერს“: ინგლისის პატრიოტნი იმ არტისტს, რომელიც კრიუგერის როლს ადგენს ხოლმე, კარებში უცდიან, რომ წარმოდგენის გათავების შემდეგ კარგად მიუჟეონ და ისე გაუშვან. ამას წინად ერთი ასეთი „კრიუგერი“ ისე ლაზათიანად მიუბეგვნიათ, რომ საწყალი ორი კვირა ლოგინიდგან აღარ ამდგარა. მეორე არტისტს გადაჭრით გამოუცხადებია ანდრეპრენერისთვის, აღარაფრის გულისთვის აღარ წარმოვადგენ კრიუგერის როლსაო.

საზოგადოდ კრიუგერი მოსვენებას არ აძლევს ინგლისელებს. მარტო კრიუგერის სახელის ხსენებაც კი ძილს უფრთხობს მათ. ყველა იმას ამბობს, თუ არ ეს ჯიუტი ბებერი, ესეთი სამარცხვინო საქმე არ დაგვემართებოდაო. ამაყი ბრიტანელელი ჰფიქრობენ, კრიუგერი რომ ტრანსვაალის პრეზიდენტად არ ყოფილიყო, ინგლისს სხვა ვერავინ გაგვიბედავდა სიტყვისშებრუნებას და ომის გამოცხადებასაო.

ი. ა—ძე

სიტყვებით მიჰმართა, რათა მხნედ და შეუდრეკლად დაებოლოვებინათ მათ თავიანთი მოვალეობა. „არ შეგეშინდეთ, უთხრა მათ მღვდელმა, ეს ხელმწიფის სამსახური მარტო თქვენ არ გრგებიათ წილად; თქვენი მამები ნაქებნი არიან მამულისთვის თავ-დადებაში და მომავალი თქვენი შვილები ასევე უნდა აღიზარდნენ. პირველად, რასაკვირველია, ძნელია ოჯახის მოშორება და სხვა ხალხთან, სხვა ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს მხარე დიდად არ განირჩევა საქართველოსაგან და სამსახურიც არ არის გრძელ-ვადიანი. მხოლოდ ერთმანეთ შორის კავშირისათვის ხელს გვიშლის ენის უცოდინარეობა, მაგრამ მალე, ვფიქრობ, ამასაც მოეღება ბოლო. დღეიდგან ვეცდები საქართველოდგან პატარ-პატარა წიგნაკები გამოვიწერო ხალხურის შინაარსისა, რომლის შემწეობით საშუალება გექნებათ თქვენს ენაზედ სასარგებლო-რამ წაიკითხოთ. ამასთანავე მე ვიწერ სახელმძღვანელო წიგნს ჩემთვის, რომ ცოტაოდნათ შევისწავლო ქართული ენა“.

მღვდლის მიერ წარმოთქმული სიტყვები მე დაუყოვნებლივ გარდავეცი ქართველებს და იმათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გამომშვიდობების ხანს კიდევ ქართულს ენაზედ წავიკითხე „აცხოვნე, უფალო“ და განმხნევებულ ქართველებს გამოვეთხოვეთ.

რაზმის მღვდელი მ. პრეობრაჟენსკი მართლაც მაშინვე შეუდგა ქართულის წიგნების შეძენას. მეტადრე იმისთვის საჭირო არის კონდაკი, რომლის წყალობით იგი ჰფიქრობს ქართულს ენაზედ წირვის შესრულებას. ამ წიგნის შესაძენად იმას მიუმართავს ბ-ნს შარაძისათვის, რომელიც, იმედია, დაუყოვნებლივ აუსრულებს მ. პრეობრაჟენსკის სასიქადულო სურვილს. ეს გარემოება მ. პრეობრაჟენსკის იქაურ მღვდელმთავარ ნიკოლოოზისთვის მოეხსენებინა. განათლებულმა მწყემსთ მთავარმა არამც თუ არ აღუკრძალა მოძღვარს ამ აზრის სისრულეში მოყვანა, არამედ თითონაც განაცხადა სურვილი ქართულ ენაზედ წირვის შესრულებისა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეპისკოპოსი ნიკოლოოზი ტფილისის სემინარიის რექტორად არის ნამყოფი და საქართველოში მსახურება მას საუკეთესო დროდ მიაჩნია.

შენიშვნის ღირსია აგრეთვე შემდეგი გარემოება: 7 იანვარს სიმფეროპოლის სასულიერო სემინარიაში სალიტერატურო საღამო იყო გამართული. სიმღერათა შორის, რომლებიც უნდა შეესრულებინა მოსწავლეთა გუნდს, ქართული სიმღერებიც იყო დანიშნული. იმისდა მიუხედავად, რომ რუსული გუნდი ასრულებდა, ქართული სიმღერები ერთობ სასიამოვნო გამოვიდა და ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. მეტადრე „შევსვათ ხელადით ღვინო“-ს მუსიკას გრიალითა და ვაშას ძახილით მიეგება ხალხი, რომელსაც პირველად ესმოდა ქართული სიმღერები!..

ქართველი სემინარიელი

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისის ცნობილი მწერალი—სტედი ცდილობს გამოარკვიოს, თუ როგორს საშიშს მდგომარეობაშია ამ ჟამად ინგლისი. სტედი არ მალავს, რამდენად მოუმზადებელია ინგლისი დიდი ომისათვის და შემდეგ ეხება ფრიად დიდ-მნიშვნელოვანს საგანს, სახელდობრ იმას, რომ შესაძლოა, თუ არა —ვინმე თავს დაესხას თითონ ინგლისს? სტედს შესაძლებლად მიაჩნია ეს და ამბობს:

„სამხედრო სამინისტროსაც შესაძლებლად მიაჩნია ეს (ე. ი. ინგლისს რომ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო თავს დაესხას) და პარლამენტშიაც რამდენჯერმე ყოფილა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი. პროექტებსაც ამზადებდნენ ლონდონის გარშემო სიმაგრეების აგების შესახებ და ამ პროექტის ერთი ნაწილი სისრულეშიაც იქმნა მოყვანილი. მაგრამ ეს პროექტი საკვებითაც რომ განეხორციელებინათ, უნდა გკითხოთ—ვის უნდა დაეცვა სიმაგრეები? მუდმივი ჯარები გაგზავნილია სამხრეთ აფრიკაში, რომელიც ინგლისისათვის ლედი-სმიტს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ ევროპაში ომი მოხდა. როგორც გენერალი უაიტია გამომწყვდეული ლედი-სმიტში, ისე ინგლისის ჯარებიც დამწყდეული იქმნებიან აფრიკაში იმ დროს, როცა თოფის წამლის ალი მოიცავს ლამანშის ნაპირებს. მილიციის საუკეთესო რაზმებიც სამხრეთ აფრიკაში იგზავნება, რათა ბურები ინგლისს დაუმორჩილოთ. ეხლა ასეთი მდგომარეობაა, რომ ბევრს გაიტაცებს— ინგლისს თავს დაესხან. თუ რომელმამე ჩვენმა მტერმა მოახერხა 100 ათასი კაცის გადმოსხმა ინგლისის ნაპირზე, ამ ჯარს წინ უნდა მივაგებოთ საბრძოლველად ბავშვები და გაუწვრთნელი რეკრუტები (ახლად გაწვეულნი ჯარის კაცნი)“.

სტედი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთს აქვს ასეთი განზრახვა და იმას კიდეც შეუძლიან ლონდონზე 50,000 კაცი გაალაშქროს, რომელნიც, საეჭვოა, ინგლისის ლამანშის ფლოტმა შეაჩეროსო. შემდეგ სტედი ინგლისის საზოგადოებას ადარებს ფრანგებს, რომელთაც 1870 წელს აზრადაც არ მოსდიოდათ, თუ მტერი პარიჟს ალყას მოასხლტებოდა, და ჯარებს ამ სიტყვებით ისტუმრებდნენ: „ბერლინში, ბერლინში!“-ო. ვინც ინგლისურ გაზეთებს თვალ ყურს ადევნებს უკანასკნელ თვეების განმავლობაში, სტედის სიტყვით, ეჭვი არ უნდა ჰქონდეთ, რომ ბევრმა იმგვარმა მიზეზებმა, რამაც საფრანგეთი დასცა 1870 წელს, ამ ჟამად ინგლისში იჩინა თავი; მაგალითად, ჩემბერლენი უფრო საშიში უბედია, ვიდრე ემილ ოლივიე იყო, და ლორდი ლანსდაუნი, იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოამზადა მან ინგლისი სამხრეთ აფრიკაში საომრად, უკეთ არ არის მომზადებული იმ შემთხვევისათვის, თუ, ვინიცობაა, ერთა შორის დიდი შეტაკება მოხდა, ვიდრე ნაპოლეონ მესამე იყო მომზადებული 1870 წელს.

## დაშვებული

დალოცვილო შრომავ! თუ ოდესმე ღვთის წყევა იყავ, მაშ მისი კურთხევა რაღა უნდა იყოს!

სელკერკი

***

წუთისავე ამას მკვდარ არს იგი კაცი, რომელი, აღდგება-რა ცხედრისაგან თვისისა, ჰფიქრობს არა იმასა, თუ სადა და რა კეთილი სთესოს, რაგვარ არგოს მეუღლესა და მოძმესა თვისსა, არამედ გულის ხმასა გარდების და იგონებს, სად რა ჭამოს, სვას, სად იდღეგრძელოს, იცეკვოს.

ლასურიძე

## გამოსადეგი ცნობა

თუ გინდათ მმარი ისე შეინახოთ, რომ არ გაფუჭდეს, ბოთლებში უნდა ჩაასხათ, პირი დაუცოთ ბოთლებს, ცივის წყლით სავსე ქვაბში ჩააწყოთ და ცეცხლზედ შესდგათ. ადუღოთ ასე 15—20 წუთს, ამოიღოთ ბოთლები, როდესაც წყალი სრულიად გაცივდება და პირი ბოთლებს მაგრად დაუცოთ. ამ საშუალებით მმარი ერთს წლიწადსა და მეტსაც უვნებლად შეინახება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 იანვარი.

**ტორონტო.** Brit. Empire League-ს გუშინდელმა კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „რადგანაც იმპერია გაჭირვებულ მდგომარეობაშია, კანადის მთავრობის ვალდებულებაა იმპერიის დასაცველად გაგზავნოს თავისუფალი ჯარი და საჭირო ფულიც გადასცეს იმპერიას.“

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ოპოზიციის წევრების შემდეგ სიტყვა ბროდრიკმა წარმოსთქვა. ბროდრიკმა სთქვა ფიცმორისის წინადადება ისე იქმნა შესწორებული, რომ ოპოზიცია შესაძლებლად სცნობს მიიღოს იგი; გინდაც ამავე ოპოზიციის წევრი სხვა აზრისა და შეხედულებისა იყვნენ. ოპოზიციას სხვა წინადადებაც უნდა შეეტანა. სახელმწიფოს უნდა, რომ ომი მხნედ იქმნას გაგრძელებული. უმთავრესია შემდეგი საკითხი, უფლება აქვს თუ არა ინგლისს მიესარჩლოს ტრანსვაალში მცხოვრებს უცხო-ქვეყნელთ? არც ერთი კონსერვატორი არ თანაუგრძნობს ჯემსონის შესევას, ხშირად გაისმის იმის საყვედური, რომ ამ საქმის გამოძიებას დასასრულს არ აძლევენო (ირლანდიელებმა დაიძახეს: „გამოაქვეყნეთ წერილები!“).

**ლონდონი.** ლორენცო-მარკეზიდგან „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ: როგორც ტრანსვაალიდგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ბურებს განუზრახავთ ალყა ახსნან ლედი-სმიტს და ყუმბარების სროლასაც თავი გაანებონ. ბურების სამხედრო სამინისტროს გადაუწყვეტია, ტაქტიკა შესცვალოს და ამ ქალაქის აღებას სხვა რიგად შეუდგეს. პრეტორიიდგან და იოჰანესბურგიდგან გაუგზავნიათ აუარებელი შეშა, ტომრებით სავსე ქვიშა და კაფრები, ბურებს განუზრახავთ ლედი-სმიტის ქვემოთ წყალი დააგუბონ, ნაპირებიდგან გადმოადინონ და ამ რიგად ქ. ლედი-სმიტში ჯარისკაცნი და მცხოვრებნი სახლებიდგან და სარდაფებიდან გამორეკონ, რომ ყუმბარებით უფრო მეტი ვნება მიაყენონ მათ.

ლედი-სმიტთან მყოფ ბურების მთავარ ბანაკიდგან იუწყებიან, რომ აქ სრული მშვიდობიანობაა. დროგამოშვებით ყუმბარებს ესვრიან ლედი-სმიტს, სადაც ციებ-ცხელებისა და სხვა ავადმყოფობისაგან მრავალი ხალხი იხოცება.

როგორც იუწყებიან, ინგლისის ჯარმა დაიჭირა პრისკი, რომელიც კიმბერლეის სამხრეთ—დასავლეთით ორანჟეს მდინარესთან მდებარეობსო. წინაამდეგობა ჯარისათვის არავის გაუწევია.

**პეკინი.** ის ხმა, რომ იმპერატორი კუან-სუ გარდაიცვალაო, არა მართლდება. იმპერატორის ბრძანებით დანიშნულ იქმნა მემკვიდრე. შანდუნში ერთი მისიონერი მოჰკლეს; ამის გამო საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, იტალიის და შეერთებულ შტატების წარმომადგენლებმა ჩინეთის მთავრობას ოფიციალური ნოტა წარუდგინეს. ნოტაში წარმომადგენელთ მოითხოვეს, რომ მისიონერების უზრუნველ საყოფელად ზომები იქმნას მიღებული.

## შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ძმათა კონსტანტინე და მიხეილ ელიშეღას ძეთ შოშიტაიშვილებმა შემოსწირეს ერთი თუმანი.

## წერილი „მეურნის“ რედაქციის მიმართ

შარშან იანვარში გამოვუწერე ჩემდამო რწმუნებულს ალისუბნის ორ-კლასიან სკოლას ჟურნალი „მეურნე“ და სამი მანეთი გავუგზავნე ფოსტით. მაგრამ „მეურნის“ რედაქციას არც ჟურნალი გამოუგზავნია და არც ფული დაუბრუნებია. ეხლა ვთხოვ რედაქციას ან მთელი 1899 წლის ნომრები გამომიგზავნოს და ან სამი მანეთი ფული, რომელიც სკოლას ეკუთვნოდა, და აგრეთვე შემატყობინოს ისიც, თუ რა მიზეზით არ უგზავნიდა სკოლას ჟურნალს?

ალისუბნის ორ-კლასიან სკოლის მმართველი მღ. ვლადიმერ სალაძე

## წერილი რედაქციის მიმართ

2 იანვარს ქალაქის საბჭოს სადგურში იყო გამართული შობის ხე ქუთაისის საკვირაო სკოლის მოსწავლეთათვის, მასწავლებელნი, რომელთაც იკისრეს შობის ხის გამართვა, გულითადს მადლობას სწირავენ ყველას, ვინც ფულის შემოწირულობით აღმოუჩინა შემწეობა: პროვიზორს ლ. კოკოჩაშვილს, რომელმაც შობის ხე და სხვა ნივთები შემოსწირა, ბ-ნ სტ. და გრ. ოცხელს, ბალდასაროვს, გოკიელოვს, ოჰანეზოვს, ეზიკოვს, კანდელაკს, ბ. ჯანელიძეს და სანიკიძეს.

მასწავლებელნი ქუთაისის საკვირაო სკოლისა

## სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

მესამე სამოქალაქო დეპარტამენტში

22 იანვარი.

იმ დავის საქმე, რომელიც აღიძრა: 1) გორის მაზრის სოფ. ატოცის გამიჯვნის დროს და 2) ზუგდიდის მაზრის სოფ. ხორგას მე-2, 4, 13, 60 ნაწილების გამიჯვნის დროს (საკასაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ).

27 იანვარი.

(ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილნი სააპელაციო საჩივარნი)

რობერტ რიხნერის ვექილისა ნიკო გეგენავას წინააღმდეგ მამულისა და შენობის დაქცევის შესახებ დაწყებულ დავის გამო.

რობერტ რიხნერისა დავით ნოდიასთან მამულის დავის გამო.

პირველი სისხლის სამართლის დეპარტამენტი.

25 იანვარი.

ლუკა ზურაბის ძის გვაზავასი, გიორგი სიკოს ძის მაკალათიასი და გიორგი ალექსანდრეს ძის მამისაშვილისა, რომელთაც გამძარცველობა ჰბრალდებათ.

თოკა კოზაშვილისა, რომელსაც მკვლელობა ჰბრალდება.

გიორგი მეტონიძესი, ქუთაისის ოლქის სასამართლოდგან გადმოტანილი.

ფარსადან კობახიძისა, გარსევან ვაჩაძისა და დავით ქრისტესიაშვილისა.

ნესტორ ლომიძისა.

გიორგი და ნიკო ქარუმიძეებისა, რომელთაც ქურდობის დაფარვა ჰბრალდებათ.

კაჭაროვისა და ალექსანდრე სოსელიასი, რომელსაც კაცის-კვლა ჰბრალდება.

29 იანვარი.

დავით ხანჩაგაშვილისა, რომელსაც ქურდობა და მძარცველობა ედება ბრალად.

იოსებ ჯანელიძისა, ილია ფარსადანოვისა, ელიაზარ ვავილკოვისა და ევგენი პაპოვისა, რომელთაც სხვათა მოტყუება და ცთუნება ჰბრალდებათ.


## განცხადებანი

**ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო** ამით აცხადებს, რომ რადგანაც დანიშნულ დღეს არ შესდგა საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად მდ. ყვირილაზედ ჭიათურაში ხის ხიდის აგებისა და გზების შეკეთებისა,

**ხელმეორედ დაინიშნა ვაჭრობა 25 იანვრისათვის.**

ვაჭრობა მოხდება ქ. ქუთაისში, შუადღის 12 საათზედ. (2—6.—2)

ტფილისის საბაღოსნო სკოლა

კისრულობს ხეხილისა და სადეკორაციო ხეების ბაღების მგესი, შედგენასა და გაშენებას, ადგილობრივ და სხვა მემამულეთათვის ხეხილისა და სადეკორაციო ხეების მიწოდებას და საბაღე და სხვა მცენარეთა თესლეულობის გაგზავნას. (12—6.—11)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ლამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—68)